



**სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**

26 ივლისი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 118

2024 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 მაისის №59 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N909680, 26.07.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2024 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2024 წლის 15 აგვისტოს 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიული დეპარტამენტს გამარჯვებული განაცხადის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2024 წლის 26 ივლისის N118 ბრძანებით

2024 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში
 გამარჯვებული პროექტები

№	პროექტის შიფრი	ღონისძიების სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	CG-24-3812	ეკონომიკური განვითარება და სტრუქტურული ტრანსფორმაცია	სამეცნიერო პლატფორმა - განათლება განვითარებისა და სტაბილურობისთვის	
2	CG-24-3248	1) რეალპოლიტიკა 21-ე საუკუნეში 2) ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლების სისტემა	სამეცნიერო პლატფორმა - განათლება განვითარებისა და სტაბილურობისთვის	
3	CG-24-234	წარსული, აწმყო და მომავალი თანამშრომლობა Georgia-CERN	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
4	CG-24-220	საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია „ტელეკომუნიკაციები და უსაფრთხოება“	სამეცნიერო კიბერ უსაფრთხოების ასოციაცია	